

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

29 ივლისი 2008 წელი

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**  
ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

**სხდომის დაწყების დრო: 15:26სთ.**

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**

როინ მიგრიაული (სხდომის თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, დავით ლანჩავა,  
დავით ასათიანი, გოჩა სვანიძე, ზაზა ხატიაშვილი.

**სხდომის თავმჯდომარე:** როინ მიგრიაული

**დღის წესრიგი:**

1. ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის უფლებამოსილების შესახებ;
2. საბუღალტრო ანგარიშგების შესახებ;
3. ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საქმიანობის შესახებ ;
4. ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ პრობლემური საკითხების მოგვარების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სხდომის თავმჯდომარედ როინ მიგრიაულის არჩევის შესახებ.

სხდომა გაიხსნა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხით.

გოჩა სვანიძე – თავმჯდომარის უფლებამოსილების შესახებ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თავმჯდომარის უფლებამოსილებას გასული აქვს ვადა. ვადის გასვლა არის საფუძველი იმისა, რომ ჩვენ ცნობად მივიღოთ ეს ფაქტი და დავავალოთ მას სასწრაფოდ მოიწვიოს კრება.

ზვიად კორძაძე – ცნობად უნდა მივიღოთ ორი რაღაც: აღმასრულებელი საბჭოს გასულია თუ არა უფლებამოსილების ვადა ნამსჯელი აქვს,

პირველი გარემოება არის ის, რომ თავმჯდომარე ხელფასს იღებდა იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც შეჩერებული ქონდა უფლებამოსილება

იმ შემთხვევაშიც კი თუ უფლებამოსილების შეჩერებას არ ჩავთვლით მაინც გასული აქვს ვადა აღნიშნულიდან გამომდინარე, თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის უფლებამოსილების ვადა გასულია და აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივადაა რომ თავმჯდომარეს, ამ შემთხვევაში კახას, უფლებამოსილების ვადა გასული აქვს და ეს გვაგაღდებულებს ჩვენ რომ აღმასრულებელმა საბჭომ მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება დღეს ჩამოვწეროთ დღის წესრიგი. ყველა ვარიანტში აუდიტი უნდა ჩატარდეს. მისი ლოგიკით იანვარში გადიოდა ვადა, ამ იანვარს ხუთ თვეს თუ გამოვაკლებთ გამოდის ივლისი ანუ ახლაც გასულია ვადა. რომც დაგვედგინა ჩვენ მის მიერ წინა ხელფასის აღება, თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადა ყველანაირად გასული აქვს.

გოჩა სვანიძე – ჩვენ ესეა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, შემდეგი სხდომა ჩანიშნაზე, სადაც მოვა თავმჯდომარე და გააკეთებს ანგარიშს აქედან გამომდინარე, კრების მოწვევის საკითხი გადაწყდეს შემდეგ სხდომაზე. რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მოგვისმენია ანგარიში არც საქმიანობისა და არც საბუღალტრო ანგარიშგების შესახებ, მოვიწვიოთ სხდომა კვირის ბოლოსთვის.

დავით ლანჩავა – მე ზვიადს და ყველა თქვენთაგანს ვეთანხმები, რომ პირველ რიგში ჩვენ უნდა ვცნოთ თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლა. ცნობად მივიღოთ და დავადგინოთ იურიდიული ფაქტი, ჩვენ გვაქვს ამის უფლებამოსილება. და ჩემთვის ეს როგორც ყველასთვის არის ახალი მსჯელობის საგანი. იმიტომ, რომ წინა სხდომები ჩატარდა და იქ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებები მიიღეს იქიდან გამომდინარე, რა ინფორმაციასაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები ფლობდნენ. ჩვენ რა ინფორმაციაც გვქონდა იმას ვეყრდნობოდით. ჩვენ დღეს გვაქვს ინფორმაცია, რომ ბატონი კახა ხელფასს იღებდა. მას ჩათვლილი ქონდა საკუთარი ნებით რომ ის რახან ხელფასს იღებდა ე. ი. უფლებამოსილებას ახორციელებდა 2005 წლის თებერვალ-მარტიდან აქედან გამომდინარე, ის თავს უფლებას აძლევდა აეღო ხელფასი და მე ვთვლი რომ უპასუხისმგებლოა მისი დუმილი წინა სხდომაზე და ეს დუმილიც მე თუ მკითხავთ არის ტყუილის საფუძველი, მას არ ქონდა პიროვნულად უფლება დაემალა ეს ფაქტი საბჭოს წევრებისათვის, როდესაც კამათი მიდიოდა უფლებამოსილებებზე, რომ ის ხელფასს იღებდა ამ პერიოდში. მე ვთვლი როგორც იურისტი და როგორც ადამიანი რომ თუ ხელფასს იღებ ნიშნავს რომ შრომობ და უფლებამოსილება გაგაჩნია. და თუ ეს ასეა ე. ი. ეს პერიოდი თვლება უფლებამოსილების ვადად. ანუ მას ეს უნდა ეთქვა და აქედან გამომდინარე, ამ ფაქტის დამალვა არასწორია.

ზვიად კორძაძე – აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა კრების წინაშე უნდა დააყენონ სარევიზიო კომისიის წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან დასკვნაში არაფერი იყო ნათქვამი 2005 წლის ხელფასის გაცემის თაობაზე.

დავით ლანჩავა - ვინაიდან ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ თავმჯდომარე მიემგზავრება სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც დადასტურდა არაერთი ფაქტით. მაგალითად, რუსუდან პიტავასთვის უფლებამოსილების გადაბარების შეთავაზებით და თავმჯდომარე რომელიც ერთი წლით მიდის და არ ცხადდება სხდომებზე, ის ელემენტარულად ვაღდებუელია თავის კოლეგებს აუხსნას აღნიშნულის მიზეზი. და ის რომ მან წინასწარ გვითხრა რომ არ მოვიდოდა, ესეც არის უფლებამოსილების შეუსრულებლობა და არაკეთლისინდისიერი შესრულება.

დავით ასათიანი – რაც შეეხება თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის საკითხს, მე იგივე მოსაზრება მაქვს რაც იმ სხდომაზე, როდესაც ზვიადის მიერ დაისვა ეს საკითხი. სამართლებრივი კუთხით ამ საკითხს აქვს გარკვეული ხარვეზები, რადგანაც მართალია, რომ თავმჯდომარის მიერ მოხდა გარკვეული

მოქმედებების განხორციელება მისი არჩევის დღიდან და შეიძლება აქედან დაიწყოთ ათვლა. მეორეს მხრივ დამფუძნებელი კრების რეჟიმი არ იყო დამთავრებული, შესაბამისად, ასოციაცია მთელი თავისი ნიშანთვისებებით შედგა მხოლოდ 2006 წლის თებერვალში, როცა აღმასრულებელი საბჭო იქნა არჩეული. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი ჩემი აზრით, სამართლებრივი თვალსაზრისით იწვევს გარკვეულ აზრთა სხვაობას. თუმცა მიუხედავად ორივე მხარის არგუმენტებისა ჩვენ უნდა მოგვეწვია კრება და დაგვეფიქსირებინა, რომ თავმჯდომარის უფლებამოსილების საკითხი ამოწურულია, რადგანაც არ მიგვეცა არავისათვის საბაბი ეფიქრათ, რომ ვინმე ცდილობს უფლებამოსილების ვადის ხელოვნურ გაგრძელებას და ებლაუჭება თანამდებობას. ამას მნიშვნელობა ჰქონდა მორალური თვალსაზრისით და არა იურიდიული კუთხით. თუმცა, აღმასრულებელი საბჭოს სხდომის საერთო გადაწყვეტილებით ეს იდეა უგულვებელყოფილ იქნა. მე დღესაც მიმაჩნია, რომ საკითხი ეხება ადვოკატთა კორპუსის ერთიანობას და აქედან გამომდინარე, ცნობად უნდა მივიღოთ რომ დღეის მდგომარეობით გასულია უფლებამოსილების ვადა, რადგანაც თავმჯდომარის არჩევიდან (2005 წელი) გავიდა სამწლიანი ვადა 2008 წლის თებერვალში.

გოჩა სვანიძე – აღმასრულებელი საბჭო ღებულობს ცნობად, რომ გასულია უფლებამოსილების ვადა, მოწვეულ იქნას საბჭოს სხდომა და რომელზეც თავმჯდომარე წარმოადგენს ანგარიშს. განემარტოს თავმჯდომარეს, რომ იგი ვალდებულია მოიწვიოს კრება.

როინ მიგრიული – მე ვეთანხმები გოჩას, თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა ამოწურულია, ეს საკითხი დღეს უნდა მივიღოთ ცნობად და უბრალოდ ანგარიშის წარმოდგენა მოვთხოვოთ.

ზვიად კორძაძე – ყველანაირი არგუმენტით ვადა არის გასული. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ორგანიზაციის ყველა ნიშანი არსებობდა. ჩვენ ვადის გასვლას ვიღებთ ცნობად. რადგან ვადაა გასული თავმჯდომარემ შეასრულოს კანონის კონკრეტული ნორმა. ხვალ შეიძლება ვინმე შემოგვედაოს ამაზე, დოკუმენტი ჩვენს გარეშე უნდა მეტყველებდეს რომ კანონში ეს წერია.

გოჩა სვანიძე – თავმჯდომარეს განემარტოს ან მიეცეს წინადადება, რომ მოიწვიოს კრება.

დავით ასათიანი – განსხვავებული აზრი მაქვს, გადავდოთ ეს საკითხი სანამ არ გვექნება დოკუმენტის კახას გადაწყვეტილების შესახებ.

ზვიად კორძაძე – თუ ის წავიდა აღმასრულებელი საბჭო შეიკრიბება და მივიღებთ, ცნობად უფლებამოსილების შეუსრულებლობის ფაქტს.

დავით ლანჩავა – უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებით როდესაც განცხადება გვექნება. მე მეგონა დღეს განცხადება დამხვდებოდა. მე ვეთანხმებით უბრალოდ მე ვხედავ საშიშროებას. მას აწყოფს სტატუსით წასვლა.

ცნობად იქნას მიღებული, რომ დღეის მდგომარეობით უფლებამოსილების ვადა თავმჯდომარეს აქვს გასული.

აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

ზვიად კორძაძე – დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მივიღოთ აუდიტის დანიშვნის გადაწყვეტილება. ვინაიდან სახეზეა თავმჯდომარის მიერ 50 000 ლარის აღება ყოველგვარი სამართლებრივი მოტივაციის გარეშე, რასაც ადასტურებს ბუღალტერის მიერ გაცემული ცნობა, სხვა ასეთი დარღვევების გამორიცხვის მიზნით და ეხლა არ გვყავს ორგანო, რომელიც ამ ფუნქციას შეასრულებს თავმჯდომარემ შეარჩიოს აუდიტორი და ჩაატაროს შემოწმება. ამ შემთხვევაში საინტერესოა საბჭოს წევრთა აზრი.

გოჩა სვანიძე – ვვარაუდობ რომ დარღვევა არის. საყურადღებოა. ეჭვის საფუძველი გვაქვს.

როინ მიგრიაული – თუ ის კონკრეტული თარიღის გასვლის შემდეგ აგრძელებს ხელფასის აღებას, შეფასებას ნუ გავაკეთებთ რომ დარღვევა არსებობს. ვარაუდი არის და ამის გამო აუდიტი უნდა ჩატარდეს.

დავით ასათიანი – აღმასრულებელ საბჭოს წარუდგინოს საქმიანობის ანგარიში და ამ ანგარიშის ყოველწლიური ბალანსი. ჩვენ გვაქვს წლიური ანგარიშგების შემოწმების უფლებამოსილება, შესაბამისად 2007 წლის წლიური ბალანსი და ანგარიშის მონაცემები ეთხოვოს ასოციაციის თავმჯდომარეს რომ წარმოგვიდგინოს. შემოვიფარგლოთ ანგარიშგების მიღებით. ამის გაანალიზების შემდეგ ვიმსჯელოთ და მივიღოთ გადაწყვეტილება შემოწმდეს 2005, 2006, 2007 წლების ანგარიშგება.

ასოციაციის თავმჯდომარეს უნდა გაეკეთებინა მოხსენება ყოველწლიურად.

ზვიად კორძაძე – ვინაიდან წარმოდგენილი არ აქვს შევამოწმოთ.

საბჭომ დაადგინა: აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემოწმებულ იქნას ადვოკატთა ასოციაციის ყოველწლიური ანგარიშგება 2005-2007 წლის ჩათვლით, რა მიზნისთვისაც დაევალოს ასოციაციის თავმჯდომარეს კანონით დადგენილი წესით უმოკლეს ვადაში შეარჩიოს შესაბამისი აუდიტორი (აუდიტორული ფირმა)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ერთხმად.

ვინაიდან აღმასრულებელი საბჭოს სხდმაზე დღემდე არ ყოფილა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიში, დაევალოს ასოციაციის თავმჯდომარეს ანგარიშის წარმოდგენა ასოციაციის შექმნიდან დღემდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ერთხმად.

შედგეს ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს პროექტს.

აღმასრულებელი საბჭოს წევრების მიერ მორიგი სხდომა მოწვეულ იქნა 2008 წლის 1 აგვისტოს 16:00 საათზე.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

როინ მიგრიაული  
(სხდომის თავმჯდომარე)

ზვიად კორძაძე

დავით ლანჩავა

დავით ასათიანი

გოჩა სვანიძე

ზაზა ხატიაშვილი.